საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 3 ნოემბრის

დადგენილება №2211

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის №2050 დადგენილებაში ცვლილების შესახებ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის №2050 დადგენილებით დამტკიცებულ „უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესში“ და დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

5^1.ამ წესის პირველი და მეხუთე პუნქტისაგან განსხვავებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა პერსონალურად განიხილება აკადემიური საბჭოს მიერ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოსტექნიკურუნივერსიტეტში უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განმახორციელებელი აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირისათვის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესი

1. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც წინამდებარე სასწავლო წელს დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სრული აკადემიური დატვირთვა შეევსება უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 10 ივლისის №951 ან 2014 წლის 25 ივლისის №1236 დადგენილებებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამის პერიოდში მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს;
2. რექტორის რეზოლუციის საფუძველზე, აკადემიური დეპარტამენტისგაფართოებულ სხდომაზე(დეკანატის წარმომადგენლის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის და ენის სპეციალისტის მონაწილეობით, რომლის კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იყოს ვიცე-რექტორთან/სწავლების დეპარტამენტის უფროსთან),პედაგოგმაპროგრამის ენაზე უნდა ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია. დადებითი შეფასების შემთხვევაში აკადემიური დეპარტამენტის სხდომის ოქმისამონაწერი(სხდომის ყველა მონაწილის ხელმოწერით) გადაეცემა, როგორც წესი, ფაკულტეტის საბჭოს.
3. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის ბიუჯეტში არსებული წესის მიხედვით.
4. დეკანი რექტორს წარუდგენს შესაბამისმოხსენებით ბარათს. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
    - პროფესორისგანცხადება;
    - ცნობა სწავლების დეპარტამენტიდან უცხოენოვან აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული აკადემიური დატვირთვის არსებობის შესახებ;
    - ცნობა მონიტორინგის დეპარტამენტიდან საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტების არარსებობის შესახებ;
    - აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებული სხდომის ოქმისამონაწერი ლექციის ვიდეოჩანაწერთან ერთად;
    - საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილება ბიუჯეტის ცვლილების შესახებ.
5. აკადემიური პერსონალისათვის განსხვავებული თანამდებობრივი სარგო გაიცემა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. თუ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მოხდა პედაგოგის უცხოენოვანი აკადემიური დატვირთვის შემცირება და საათების ფაქტიური რაოდენობა

გახდება საშტატო საათების ნორმირებულ რაოდენობაზე (200 ან 400 საათი) ნაკლები, ანაზღაურება მოხდება იგივე ნიხრით საათების ფაქტიური რაოდენობის შესაბამისად.

6. ამ წესის პირველი და მეხუთე პუნქტისაგან განსხვავებული ყოველი კონკრეტული შემთხვევა პერსონალურად განიხილება აკადემიური საბჭოს მიერ.
7. მომდევნო სასწავლო წელს მითითებული პროცედურები ხელახლა უნდა განხორციელდეს.